ა მ ო ნ ა წ ე რ ი # 2

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2022 წლის 25 მაისის სხდომის ოქმი # 4-დან

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), მ. აშორდია, გ. ბერიკელაშვილი, თ. ბუჩუკური, რ. დუდუჩავა, მ. ელიაშვილი, ხ. ინასარიძე, ა. კვინიხიძე, ი. კიღურაძე, გ. ლავრელაშვილი, მ. მანია, ა. მესხი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, გ. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე, გ. ჯორჯაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 28 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 20 წევრი).

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელთა და მეცნიერ თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისთვის საკონკურსო კომისიის შექმნა.
2. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევის პროცედურის შესახებ;
3. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების განხილვა და დამტკიცება.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ თავისი 2017 წლის 13 სექტემბრის სხდომაზე (ოქმი # 3) განიხილა და დაამტკიცა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევის პროცედურა (აღნიშნული პროცედურა ოქმს თან ერთვის).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც განაცხადა, რომ მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობა არის ვაკანტური და საჭიროა გამოცხადდეს კონკურსი. მან საბჭოს წევრებს განსახილველად წარუდგინა თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება (აღნიშნული განცხადება ოქმს თან ერთვის).

სამეცნიერო საბჭომ განიხილა და ერთხმად დაამტკიცა ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1) გამოცხადდეს კონკურსი ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად 2022 წლის 1 ივნისს. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება მოხდეს 2022 წლის 13 ივნისიდან 2022 წლის 16 ივნისის ჩათვლით, 11:00-დან 17:00 საათამდე, თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, მისამართი: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის II შესახვევი, № 2, II სართული, ოთახი № 7. სამეცნიერო სასბჭოს სხდომის ოქმი, რომელშიც ასახული იქნება არჩევის შედეგები, ინსტიტუტის დირექტორის მიერ დამტკიცდეს და გაეგზავნოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის არაუგვიანეს 2022 წლის 1 ივლისისა.

2) განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ გაიგზავნოს თსუ-ში თსუ-ს ვებ-გვერდზე განსათავსებლად და ასევე გამოქვეყნდეს ინსტიტუტის ვებ-გვერდზე;

3) ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი ჩატარდეს იმ პროცედურის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ 2017 წლის 13 სექტემბრის სხდომაზე (ოქმი # 3).

საბჭოს თავმჯდომარე თ. ქადეიშვილი

სწავლული მდივანი ო. ჯოხაძე

ამონაწერი სწორია:
თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი ნინო ფარცვანია